

— **ჟოლიტიკა** —

“მოქალაქეთა კავშირი” ოპოზიციას ახმობს

საპარლამენტო არჩევნების წინ “მოქალაქეთა კავშირის” წიაღში, ოპოზიციის ზმის ჩასაშობად, ახალი ინიციატივა იშვა — შეწყდეს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სდომათა პირდაპირი ტრანსლაცია რადიოსა და ტელევიზიის ეთერით. ამ იდეის ხორცშესახმელად სახელისუფლებო ფრაქცია პარლამენტში ხელმოწერებს აგროვებს.

A3

— **ჟაონომიკა** —

„ტალენორი“ „ელაქტროკავშირის“ ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის მოლოდინში, ამ გახმაურებული პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, ოფმორული კომპანია “სელფორდი” „საქართველოს ელექტროკავშირის“ პრივატიზების მიზანშეწონილობაზე ალაპარაკდა.

A4

— **უხხოეთი** —

ირანში რეფორმატორები გამარჯვებას ზეიმობენ

ირანის უმაღლესმა ხელისუფალმა აიათოლა ალი ხამენეიმ, სტუდენტთა ერთკვირიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ, პროფესორი ჰაჯეში აღაჯარის სასცედილო განაჩენი შეცვალა. კონსერვატორების უკან დახევამ რეფორმატორებს იმედი გაუღვიძა.

A5

— **საზოგადოება** —

რისთვის გჰჰირდება ქრიტიკალი აზროვნება და ცხარე დებატები?!

საქართველოს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამჟარად განიცდის კამათისა და დებატების კულტურის დეფიციტს. ეს პრობლემა აწუხებს არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, არამედ კლასიკურ ინგლისს, პრამატულ გერმანიასა და ულტრათანამედროვე ამერიკასაც კი.

A6

— **სამართალი** —

მამის ბატახვის ორგანიზატორი თავისსავე დაბახულ მახეში ბახაბა

ერთი წლის წინ უგზოუკლოდ დაკარგული, პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორის ყოფილი მოადგილის, შემდეგ კი სააფთიაქო ბიზნესის მფლობელის - როსტევენ ბეჟანიშვილის განზრახ მკვლელობისთვის მის საკუთარ შვილს პაატა ბეჟანიშვილს ასამართლებენ.

A7

ჟონდი		
თბილისი	22	☀
ქუთაისი	26	☀
ბათუმი	26	☀
სოხუმი	24	☀
ფოთი	26	☀
თალავი	20	☀
ზუბდიდი	27	☀
ბორი	17	☀
ახმატა	19	☀

უხხოარი ვალუტის ოფიციალური კარსი ლართან მიმართებაში	
აშშ დოლარი	2.1800
ევრო	2.1996
გირვანქა სტერლინგი	3.4413
რუბლი	0.0685

ხმაური და მრისხანება თბილისის საქრებულოში



თბილისის მერის მხარდამჭერთა მიტინგი.

ბიორბი ასანიშვილი

თბილისის საკრებულო და სახელმწიფო კანცელარია ხიდის შუაში შეხვედრილი ჯოუტი თხებივით ჯიქურ აწვებიან ერთმანეთს და უკან დახევას არც ერთი არ აპირებს: პრეზიდენტი არ იზიარებს დედაქალაქის საკანონმდებლო

ორგანოს არგუმენტებს ვანო ზოდელავასთვის უნდობლობის გამოცხადების თაობაზე და ქალაქის მერის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარს აცხადებს. კომპრომისზე არც თბილისის პარლამენტი მდის და დაჟინებით ითხოვს, რომ დედაქალაქის მერის იმპიჩმენტის პროცესი ლოკიკურ დასასრულამდე მივიდეს. ძნელი

სათქმელია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში განმეორდება თუ არა გოგებშვილისეული იგავის ფინალი, მაგრამ ფაქტია, რომ ათი წლის წინანდელ "ცნობილ მოვლენებთან" ასოციაციები უკვე განწდა: მეგაფონით "შეიარაღებული" მომიტინგეები, ეგზალტერებული მასის მიერ "ხელადის" სახელის სკანდირება ("ვანო, ვანო!"),

სახელისუფლებო სტრუქტურებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის მუშაობაში ჩარევა... ავისშომასწავებლად გაისმა საბრძოლო შეძახილებიც: "ომი გინდათ? კი ბატონო, ვიომოთ!" (გიგა ლორთქიფანიძე), "კოცონების დანთება და კარვების დაცემა არ მოწწონს, მაგრამ..." (ქეთი დოლიძე).

ბაბრძოლაბა A3 ბჰირძოზა

ომისა და მშვიდობის საქითხი ბადდაფზაა დამოკიდებული

ლევან დირსაშვილი

გუშინ გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა პირველი ჯგუფი კვიპროსიდან ბაღდადში გაემგზავრა. ოცდაათ ექსპერტს გაერო-ს "მონიტორინგის, ვერიფიკაციისა და ინსპექციის სპეციალური კომისიის" (UNMOVIC) უფროსი ჰანს ბლიქსი უხელმძღვანელებს. მათთან ერთად, ბაღდადს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი მოჰამად ელ ბარადეიც ეწვევა. გაერო-ს ექსპერტებმა უნდა დაადგინონ, აქვს თუ არა ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, სამხედრო ინსპექტორთა ვიზიტის შედეგებზე ერაყის და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის მომავალია დამოკიდებული. ჰანს ბლიქსის განცხადებით, ამ ვიზიტმა ერაყში ომისა და მშვიდობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

ბაბრძოლაბა A5 ბჰირძოზა



ჰანს ბლიქსი და მოჰამედ ელ ბარადეი ერაყში გამგზავრების წინ.

"აბროზიზნესბანკი" და "მიკროსაფინანსო ბანკი" ერთიანდებაიან?

ორი ბანკის გაერთიანების საკითხი ბრიუსელსა და ფრანკფურტში უნდა გადაწყდეს

ბიორბი კალანდაძე

გერმანიის განვითარების სა-ხელმწიფო ბანკის (KfW) მიერ "აგრობიზნესბანკის" შესაძლო ყიდვის საკითხი დამოკიდებულია გერმანუ-ლი ბანკის, საქართველოს მთავრო-ბისა და ევროკომისიის შეთანხმება-ზე. ეს საკითხი განიხილებოდა სა-ქართველოში KfW-ს წარმომადგე-

ნელთა ბოლო ვიზიტისას, რომელიც გასულ კვირას შედგა. "აგრობიზ-ნესბანკში" საქართველოს მთავრო-ბა და ევროკომისია თანაბარ წილს (50/50) ფლობენ. "შას შემდეგ, რაც ჩვენთვის ევ-როკომისიის პოზიცია იქნება ცნობილი, "აგრობიზნესბანკის" მონაცემების დეტალურ შესწავ-ლას შევუდგებით," – განაცხადა გასულ კვირას საქართველოს სა-

ხელმწიფო მინისტრთან შეხვედრი-სას KfW-ს ვიცე-პრეზიდენტმა ნორბერტ კლოპენზურგმა. გერმა-ნულ საკრედიტო ორგანიზაციას ქართული ბანკის ყიდვა ქართულმა მხარემ შესთავაზა. მანამდე ბანკის პრივატიზების სხვა სქემა იყო შემუ-შავებული, რისთვისაც "აგრობიზ-ნესბანკის" კიდევ ერთ მენილეს, ევ-როკომისიას, ერთი მილიონი ევრო ჰქონდა გამოყოფილი. ამ სქემის მი-

ხედვით, ბანკი მართვაში უნდა გა-დასცემოდა ტენდერის წესით გა-მოვლენილ ევროპულ საფინანსო კომპანიას, რომელსაც იგი გასაყი-დად უნდა მოემზადებინა. ამ სქემის ამოქმედებას ხელი შეუშალა "აგრო-ბიზნესბანკის" დირექტორის, პი-ტერ შოუს, გატაცებამ.

ბაბრძოლაბა A4 ბჰირძოზა

პრეზიდენტი ზოდელავას ინარჩუნებს და... აფრთხილებს!

თამარ ხორბალაძე

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ დაადასტურა, რომ არ აპირებს თბილისის საკრებულოს დარეულზე ცეკვას. მეორე მხრივ კი, გააფრთხილა თბილისის მერი, რომელიც ადგილობრივი არჩევნების მსვლელობისას საერთო ენას, სახელმწიფო მინისტრზე მეტად, ოპოზიციის წაწილთან ნახულობდა.

"ზოდელავას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყ-ვეტილებას, სერიოზული განსჯის გარეშე, ვერ მივიღებ, უპირველეს ყოვლისა, ისე დედაქალაქის ინტე-რესებიდან გამომდინარე. პრეზიდენტის მხრიდან ემოცი-ური და ნაჩქარევი გადაწყვეტილე-ბის მიღება არცთუ სწორი ნაბიჯი იქნებოდა, იმ ვითარებაში, როცა კარზეა მომდგარი ძალიან რთული ზამთარი და, ამასთან, გრძელდება 25 აპრილს დედაქალაქში მომხდარი მინისტრის შედეგების ლიკვიდა-ცია, რასაც მერია ახორციელებს. საკრებულოს გადაწყვეტილე-ბაში განსაკუთრებულს და ტრავი-კულს ვერაფერს ვხედავ, მით უმე-ტეს, რომ კონსტიტუცია და კანონი პრეზიდენტს ანიჭებს საბოლოო ვერდიქტის უფლებას.

დედაქალაქს სჭირდება სტაბი-ლური ხელისუფლება," - ეს განცხა-დება უშუალოდ საკრებულოსა და იმ ძალების მისამართით იყო გაკეთე-ბული, ვინც მიიჩნევს, რომ საკრებუ-ლოს შეუძლია სერიოზული ზეგავ-ლენის მოხდენა ქვეყანაში მიმდინა-რე პოლიტიკურ პროცესებზე.

ბაბრძოლაბა A3 ბჰირძოზა

"ახლები" გაფრთხილება: "ასა იწყებდა გამსახურდია!"

თამარ ხორბალაძე

ამ კვირაში ხელისუფლება გადამწყვეტ იერიშს განახორციელებს ოპოზიციურ ძალებზე, ანუ ალტერნატიულ აზრზე პარლამენტში. ეს იქნება ლოგიკური გაგრძელება რეანიმირებული "მოქალაქეთა კავშირის" მიერ საპარლამენტო ბერეკეტების ხელში ასაღებად წარმოებული ბრძოლისა. პრაქტიკულად ამ ნიშნით წარიმართა პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომა.

ერთ-ერთი ნაბიჯი, რომლის გა-დადგმასაც სახელისუფლებო ძალე-ბი აპირებენ მიმდინარე კვირაში, სა-ერთაშორისო არენაზე გასული სა-პარლამენტო დელეგაციების შემად-გენლობის გადახედვაა. "ან შევცვა-ლოთ შემადგენლობა, ან დროებით შევჩეროთ უფლებამოსილება დე-ლეგაციებს ყველა საპარლამენტ-თაშორისო ასამბლეაში... ვის წარ-მოადგენს ეს ხალხი, მაგალითად, ევროსაბჭოში..." - აღმოეთუება ვერ მალავდნენ აჟამინდელი უმრავლე-სობის წარმომადგენლები, განსაკუთ-რებით – გახტანგ რჩეულიშვილი. ვახტანგ აბრალავა და ელიზბარ ჯაველიძე კი იმას ჩიოდნენ, რომ საზღვარგარეთ კომიტეტების ახალი ხელმძღვანელობა ვერ დადის (მართა-ლია, ამასთან დაკავშირებით ტრადი-ციონალისტმა მაია ნადირაძემ შენიშ-ნა, რომ ზოგს პარლამენტი ტურის-ტული ბიურო ჰგონია, მაგრამ ამას სა-ერთო განწყობა არ შეუცვლია). ზურაბ ჟვანიას, გიორგი ბარამი-ძის და სხვათა აქტიური საერთაშო-რისო მოღვაწეობა დღეს ხელისუფ-ლების ინტერესებში ნამდვილად არ შედის, მით უმეტეს - თუკი ამ მოღვა-წეობას ქვეყნისთვის დადებითი შე-დეგები მოაქვს.

ბაბრძოლაბა A3 ბჰირძოზა

ბალცაროვირის ჰბუფმა ანდიკონდრაბანდული რეკომენდასციახი შეიშაჰვა

ენო ნარჩაბჰვილი

დღეს საქართველოს პრეზიდენტის პოლონელი მრჩევის, ლემეკ ბალცეროვიჩის ჯგუფის წევრები თბილისს ეწვევიან. მთავრობის ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკონსულტაციო პროექტის აღმასრულებელი დირექტორის, თამაზ ასათიანის განცხადებით, **“ამ ჯგუფმა კონსულტაციების მომზადების პერიოდში პრაქტიკულად მთელი საქართველო მოიარა: დაწყებული ერგენთის საბაჟოდან, სარკინიგზო მაგისტრალებით დამთავრებული; მათ უშუალოდ ნახეს, რაც ხდება და მხოლოდ შემდეგ ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები ფისკალური პოლიტიკასა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში.”**

ბალცეროვიჩის რეკომენდაციების მიხაარსი ფართო საზოგადოებისთვის უცნობი რჩება, რადგან ასეთია საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული კონტრაქტის პირობები. თუმცა, პოლონელი ექსპერტის მხრიდან პერიოდულად გაკეთებული უკმაყოფილო განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა ამ რეკომენდაციებს ყურს დიდად არ უნდა უგდებდეს. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მთავრობა ბალცეროვიჩის საქმიანობას საქართველოში არ აფინანსებს, რაც ოფიციალურ თბილისისთვის “ყურის არდასაგდებად” სერიოზული მოტივაციაა.

თამაზ ასათიანის განცხადებით, **“ამჯერად, პოლონელი კონსულტანტები ჩამოიტანენ რეკომენდაციებს საქართველოს პარლამენტში განსახილველად უკვე წარდგენილი (ან წარსადგენი) კონკრეტული საკანონმდებლო პაკეტების შესახებ; აგრეთვე, წინადადებებს სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე. ყოველივე ეს განკუთვნილი იქნება ფინანსთა სამინისტროს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საგანგებო ლეგიონისა და საგადასახადო**

ბიზნესის აზგაბი

“ლუკოილი” გადის **“საუკუნის პროექტიდან”**

რუსეთის უმსხვილესი ნავთობკომპანია “ლუკოილი” ე.წ. იმ “საუკუნის პროექტიდან” გასვლას გეგმატს, რომელიც აზერბაიჯანის აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოებიდან ნავთობის მოპოვებას ითვალისწინებს. კომპანია თავისი ათპროცენტიანი წილის გაყიდვით ვარაუდობს 1,25 მილიარდი დოლარის მიღებას.

“აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის” პროექტის ოპერატორია “ბიპი”, რომელიც კონსორციუმში 34,13 პროცენტით მონაწილეობს. პროექტის სხვა მონაწილეები არიან: “ლუკოილი” (ათი პროცენტი), აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია (ათი პროცენტი), Statoil (8,56 პროცენტი), Unocal (10,28 პროცენტი), ExxonMobil (რვა პროცენტი), TPAO (6,75 პროცენტი), Devon (5,62 პროცენტი), Itchu Oil (3,92 პროცენტი) და Delta Hess (2,72 პროცენტი). სამივე საბადოს მარაგი 740 მილიონი ტონაა. პროექტის ღირებულება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ჩათვლით, 15 მილიარდი დოლარია.

რუსულ ფეხბურთს ნავთობის სუნი უდის

რუსეთის ერთ-ერთმა ტიტულოვანმა საფეხბურთო კლუბმა “დინამომ” სპონსორული ხელშეკრულება გააფორმა სანავთობო კომპანია “იუკოსთან”. “დინამოს” პრეს-სამდილოს განცხადებით, “იუკოსი” უახლოესი სამი წლის განმავლობაში კლუბის განვითარებისთვის რამდენიმე მილიონ დოლარს გაიღებს.

“კლუბის განვითარებისთვის 22 მილიონი დოლარი გეჭირდება, რომლის დიდი ნაწილის მოგროვებაც უკვე შეძელით,” – განაცხადა “დინამოს” პრეს-მდივანმა ალექსანდრ ლოვომა. თუმცა, მან არ დააკონკრეტა, ამ 22 მილიონიდან რამდენს შეადგენს “იუკოსის” შენატანი. ჯერჯერობით, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ “იუკოსი” აპირებს იმაზე მეტი ჩადოს “დინამოს” განვითარებაში, ვიდრე თავის დროზე რუსეთის მეორე სანავთობო გიგანტმა “გაიმეტა” “სპარტაკისთვის”.

ამერიკამ ჩრდილოეთი კორეა მაზუთის გარეშე დატოვა	
აშშ-მ შეწყვიტა ჩრდილოეთი კორეისთვის სანავაგის მიწოდება. საერთაშორისო კონსორციუმმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან აშშ, სამხრეთ კორეა, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები, სანავაგის მიწოდების დროებით შეჩერებაზე გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ ფხენიანი ბოროთულ პროვოკამას ახორციელებს.	
1994 წლის შეთანხმებით, აშშ-მ ჩრდილოეთი კორეას უნდა მიანდოს 500 ათასი ტონა სანავთო მანამდე, სანამ ამ ქვეყანაში არ დასრუდება ორი ბირთვული რეაქტორის მშენებლობა.	
კონსორციუმის წევრების მიერ მიღებულ დადგენილებაში, რომელიც სანავაგის მიწოდების შეწყვეტას შეეხება, ნათქვამია, რომ სანქციები შენარჩუნდება მანამდე, სანამ ჩრდილოეთი კორეა ბირთვულ იარაღს სრულად არ გააანადგურებს.	

ლარის ოფიციალური კაცპალითი კარსი ახა დოლარის მიხართ 2002 წლის 13 - 19 ნოემბრის დამოგარაოებით					
2.2000	2.1900	2.1900	2.1900	2.1900	2.1900
2.1850					2.1800
2.1800					
2.1750					
2.1600					
2.1500					
2.1400					
13.11.02	14.11.02	15.11.02	16.11.02	17.11.02	18.11.02
ასოფლიოს ნაჰჰანი	UK£	US\$	€uro	¥en	
კალაქბაიი	UK£	0.6328	0.6384	0.0052	
კრისკარსადი	US\$	1.5804	1.0089	0.0083	
	€uro	1.5664	0.9912	0.0082	
	¥en	191.32	121.08	122.16	

„ტელენორი“ „ელექტროკავშირის“ ბიზნეს-გეგმას წლის ბოლომდე წარმოადგენს

“სელფორდი” კი მთავრობას “ელექტროკავშირის” შრივატიზებას ახლავე ურჩევს

ნორვეგიული საკომუნიკაციო გიგანტის “ტელენორის” მიერ “საქართველოს ელექტროკავშირის” ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის მოლოდინში, ამ გახმაურებული პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, ოფიორული კომპანია “სელფორდი” “საქართველოს ელექტროკავშირის” პრივატიზების მიზანშეწონილობაზე ალაპარაკდა. ეს აზრი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის აჟუბინდელ პოზიციასთან, თუმცა ბევრი რამ, ალბათ, მაინც მას შემდეგ გაირკვევა, რაც ქართული მხარე, ბოლოს და ბოლოს, “ტელენორის” ბიზნეს-გეგმას იხილავს.

გვანცა კჰინიკაძე

ნორვეგიული კომპანია “ტელენორის” მიერ “საქართველოს ელექტროკავშირის” ბიზნეს-გეგმის მომზადებასა და წარდგენას საქართველოს სამთავრობო სტრუქტურები, უკვე რამდენიმე თვეა, ელიან. ხელშეკრულების თანახმად, “ტელენორის” ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია ჯერ კიდევ აგვისტოში უნდა შემდგარიყო, თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს დღემდე არ მომხდარა. “ელექტროკავშირი”-“ტელენორის” პროექტის ფინანსური ინვესტორის - კომპანია “სელფორდის” საქართველოს წარმომადგენლობის გენერალური დირექტორი გიორგი ბედინიშვილი პრეზენტაციის თარიღის ჯერ ოქტემბრამდე, ახლა კი წლის ბოლომდე გადაწევას, სხვადასხვა უმნიშვნელო მიზეზების გამო, საშუაო პროცესის განუღვას მიაწერს. მიუხედავად შეუზრებისა, ბედინიშვილი დარწმუნებულია, რომ “ტელენორი” “ელექტროკავშირის” ბიზნეს-გეგმას ახალ წლამდე აუცილებლად წარმოადგენს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწევა თავად “სელფორდს” ამ ბიზნეს-გეგმის წარდგენის შემდეგ. კონტრაქტის თანახმად, მისი ფუნქციები მას შემდეგ ამოიწერება, რაც “ელექტროკავშირი” ამ ოფიციური კომპანიას ბიზნეს-გეგმის მომზადებისთვის გამოყოფილ კრედიტს, 200 ათას დღლარს გაუსტუმრებს. მართალია, “ელექტროკავშირში” ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, მერაბ ადგიშვილი და თავად “სელფორდი” ადასტურებენ, რომ “ელექტროკავშირმა” კრედიტის პირველი ნახევარი უკვე დაფარა.

ადგიშვილის განცხადებით, “ელექტროკავშირს” არც მეორე ნახევრის გადახდა გაუჭირდება. შესაბამისად, “ტელენორის” მიერ მომზადებული ბიზნეს-გეგმა ქართული კომპანიის საკუთრება გახდება და “სელფორდის”, როგორც ფინანსური ინვესტორის, საქონოებაც მოისწნება. “საბაგიეროდ, ამ საკითხისადმი რადიკალურად გასხვავებული აზრი აქვთ “სელფორდში”. გიორგი ბედინიშვილის თქმით, სახელმწიფოს მიერ “ელექტროკავშირის” პრივატიზებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ეს სანარმო მომგებიანი გახდა, არასწორი იქნება. **“შესაძლოა, სანარმო მომგებიანია, მაგრამ კარგი პატრონის ხელში იგი კიდევ უფრო მომგებიანი გახდება. სახელმწიფო ყოველთვის უფრო ცუდი მენეჯერი, ვიდრე კარძო მესაკუთრე. ეს მხოლოდ საქართველოსა და “ელექტროკავშირს” არ ეხებათ, ეს საყოველთაო ქეშმარიტებაა. გადაწყვეტილება სახელმწიფომ უნდა მიიღოს, მაგრამ, ჩემი აზრით, “ელექტროკავშირის” პრივატიზებაზე მან უარი არ უნდა თქვას, ეს მისთვისაც და “ელექტროკავშირისთვისაც” აუცილებელია”**, - მიაჩნია ბედინიშვილს. “ტელენორის” ბიზნეს-გეგმის, “სელფორდთან” ურთიერთობისა და შესაძლო პრივატიზაციის შესახებ მეტად მწირ ინფორმაციას ავრცელებს თავად “საქართველოს ელექტ-

“აპროზიზნესბანკი” და “მიკროსაფინანსო ბანკი” ერთიანდებაიან?

პირავლი ჰავარდიდან

მისი ტყვეობის ხუთი თვის მანძილზე ქრეფილი ბანკის გაყიდვის ახალი სქემა მომზადდა: ქართველი “აგრობიზნესბანკის” ყიდვა შესთავაზა გერმანიის განვითარების სახელმწიფო ბანკს, რომელიც ისედაც ფქრობდა თავისი წილის გაზრდას მეორე ქართულ საფინანსო სტრუქტურაში - “მიკროსაფინანსო ბანკში”. **“ჩვენ ჩავთვალეთ, რომ შეიძლება “აგრობიზნესბანკის” შერწყმა სხვა ბანკთან, ამ სხვა ბანკის მიერ მისი ყიდვა. ასეთი იდეა მივანდოვეთ ევროკავშირთანგებას, რომელსაც იქ მხარი დაუჭირეს”,** – აღნიშნა “24 საათთან” საუბარში საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსმა მურთაზ კიკორიამ. მისი თქმით, არჩევანი “მიკროსაფინანსო ბანკზე” იმ მოტივით შეჩერდა, რომ ამ ბანკს, დაახლოებით, იგივე სეგმენტი უჭირავს საქართველოს საფინანსო ბაზარზე, რაც “აგრობიზნესბანკს”. **“ჩვენიზნესბანკი, რომ მოლაპარაკების პროცესი უკვე ბრის უშელსა და ფრანკფურტს შორის მიმდინარეობს”,** – განაცხადა მურთაზ კიკორიამ. “აგრობიზნესბანკი” 1999 წლის 13 ივნისს დააფუძნა ოთხმა არაკომერციულმა ფონდმა. ბანკის წილს თანაბ-



მერაბ ადგიშვილი

სამაგიეროდ, ამ საკითხისადმი რადიკალურად გასხვავებული აზრი აქვთ “სელფორდში”. გიორგი ბედინიშვილის თქმით, სახელმწიფოს მიერ “ელექტროკავშირის” პრივატიზებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ეს სანარმო მომგებიანი გახდა, არასწორი იქნება. **“შესაძლოა, სანარმო მომგებიანია, მაგრამ კარგი პატრონის ხელში იგი კიდევ უფრო მომგებიანი გახდება. სახელმწიფო ყოველთვის უფრო ცუდი მენეჯერი, ვიდრე კარძო მესაკუთრე. ეს მხოლოდ საქართველოსა და “ელექტროკავშირს” არ ეხებათ, ეს საყოველთაო ქეშმარიტებაა. გადაწყვეტილება სახელმწიფომ უნდა მიიღოს, მაგრამ, ჩემი აზრით, “ელექტროკავშირის” პრივატიზებაზე მან უარი არ უნდა თქვას, ეს მისთვისაც და “ელექტროკავშირისთვისაც” აუცილებელია”**, - მიაჩნია ბედინიშვილს. “ტელენორის” ბიზნეს-გეგმის, “სელფორდთან” ურთიერთობისა და შესაძლო პრივატიზაციის შესახებ მეტად მწირ ინფორმაციას ავრცელებს თავად “საქართველოს ელექტ-



გიორგი ბედინიშვილი

როკავშირი”. მისი ფინანსური დირექტორის მერაბ კანკავას განცხადებით, “ელექტროკავშირს” აქვს იმის პოტენციალი, რომ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე განვითარდეს და ამდენად, არც სახელმწიფოსთვის არსებობს ამ კომპანიაში თავისი წილის გაყიდვის აუცილებლობა. ასეთი განცხადებების საფუძველს “ელექტროკავშირის” ფინანსურ დირექტორს კომპანიის მიერ წლის პირველ ნახევარში ნაჩვენები საკმაოდ სლოიდური მოგება და მთლიანად მიმდინარე წლის 1-1.2 მილიონი ლარის ოდენობის მოგებით დასრულების პროგნოზი აძლევს. თუმცა, კანკავას თქმით, “ელექტროკავშირის” წლევანდელი მოგების დიდი ნაწილი შარშანდელი, დაახლოებით, მილიონლარიანი ზარალის დაფარვას მოხმარდება. მიუხედავად ასეთი ოპტიმისტური პროგნოზებისა, კანკავას აზრით, ინვესტიციების განხორციელების სანაცვლოდ, “ელექტროკავშირს” რომელიმე მსხვილი უცხოური კომპანიისთვის რამდენიმე წლით მართვაში გადაცემა მაინც მიზანშეწონილი იქნება.

რად ფლობენ ევროკომისია და საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო. ბანკის საწვდებო კაპიტალი 6,9 მილიონ ლარს შეადგენს. იგი ფორმირებულია საპარტნიორო ფონდიდან, რომლის შემქმნა გათვალისწინებული იყო ევროკავშირთან “ტასისი” პროექტით. 1998-99 წლებში ფონდთან თანამშრომლობდა 22 ქართული კომერციული ბანკი. ამ პროცესს ექვსი მათგანის გაკოტრება მოჰყვა, რაც შეეხება “მიკროსაფინანსო ბანკს”, იგი 1999 წელს დაფუძნდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ, რომელსაც პარტნიორობას ქართული ბანკებიც უწევდნენ. ბანკის დაფუძნებაში წამყვანი წვლილი მიუძღვის გერ-

მანიის განვითარების სახელმწიფო ბანკს (KfW), სადაც შემუშავდა კიდევ პროექტი “მიკროსაფინანსო ბანკის” დაფუძნების შესახებ. დღეისათვის ბანკის მენილეები არიან: KfW (20 პროცენტი), “თიბისი-ბანკი” (17 პროცენტი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (16 პროცენტი), გერმანული “კომერცბანკი” (15 პროცენტი), ნიდერლანდების განვითარების სახელმწიფო კომპანია (10 პროცენტი), საინვესტიციო კომპანია “საერთაშორისო მიკრო ინვესტიციები” (10 პროცენტი), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (10 პროცენტი) და “ინტელექტბანკი” (ორი პროცენტი).

ფინანსთა სამინისტრომ პრაქტიკაში დაჰალბა არ შეასრულა

დღეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, დედაქალაქისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით, **“იტერას” ხელშეკრეულობასთან მოსალაპარაკებლად მოსკოვში გაემგზავრება**. მინისტრი მოსახლეობას მიმდინარე კვირაში ბუნებრივი აირის მიწოდების განახლებას პირადება. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ოპტიმისტურ პროგნოზს რუსული პრესაც იზიარებს, თუმცა, **“იტერას” მიერ თბილისისათვის გაზის მიწოდების აღდგენის განსხვავებულ მიზეზებზეც** საუბრობს.

სოფიო ოხანაშვილი

რუსული პრესა ავრცელებს ინფორმაციას, რომ “იტერა” “თბილგაზისათვის” ბუნებრივი აირის მიწოდებას რამდენიმე დღეში განაახლებს. გაზეთ “კომერსანტის” ინფორმაციით, საქართველოს მიმართ მკაცრი სანქციების გატარება ტექნიკურად შეუძლებელია. ამის მიზეზად კი გაზეთი იმ ფაქტს ასახელებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გადის ტრანზიტული გაზსადენი, რომლითაც სომხეთი მარაგდება და, უკიდურეს შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა მეზობელი ქვეყნისთვის განკუთვნილი ბუნებრივი აირის გამოყენებას დაიწყებს. ამის შემდეგ კი “იტერა” იძულებული გახდება, მოხმარებული აირის საფასურის კეთილსინდისიერი გადახდელი ერევის საყვედურებს უპასუხოს. სომხეთის უკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას ქართული სააგენტოებიც ავრცელებენ. “კავკასი-

პრესის” ცნობით, სომხეთმა არაერთგზის დაადაშაშულა ქართული მხარე იმაში, რომ ერევანი ვერ იღებს საჭირო რაოდენობით აირს, ვინაიდან გაზი სომხეთის საზღვრამდე საქართველოს ტერიტორიაზე იკარგება. “თბილგაზში” ამ ვერსიას არ იზიარებენ. **“საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან ყოველდღიურად 300 ათასი კუბური მეტრი გაზის მიღება დღეს პრობლემას არ წარმოადგენს. ამ კორპორაციას ტრანზიტული გაზიდან უფრო მეტი რომ რჩებოდეს, იმასაც დაუბრკოლებლად მოგვანგვიდა და ჩვენი ძველი რეჟიმიმ თავისუფლად დავტერი თავითი მთელ ქალაქს,”** – განაცხადა “თბილგაზის” საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლალი ხუციშვილმა.

“საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას” საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური გაზსადენები მართვაში აქვს

გადაცემული. მას, ტრანზიტის საფასურის სახით, გატარებული გაზის ათი პროცენტი რჩება. სამომავლოდ გათვალისწინებულია “თბილგაზის” მართვის უფლებით გაზის კორპორაციისთვის გადაცემა.

“თბილგაზში” დედაქალაქისთვის ბუნებრივი აირის გამორთვაში ფინანსთა მინისტრს დაწინაუფლებენ. ლალი ხუციშვილის განცხადებით, მირიან გოგიაშვილს 250 ათასი ლარის მობორობა სახელმწიფო კანცლარიათ დაავადა. ფინანსთა სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილს, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აწერს ხელს, ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს, საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის ოთხი ივლისის №46219 დავალების შესამისად, თბილისის შეუფერხებელ გამოხმარაგების მიზნით, გაზის დაგვიანების დასაფარად საჭირო სახსრების დროული გამოყოფის უზრუნველყოფა დაევალა.

სააქციო საზოგადოება “თბილგაზმა”, 2002 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, ცენტრალური ბოუჯეტში დაფინანსებაზე მყოფი იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნუსხა გამოაქვეყნა, რომელთაც, განვიროი სქემის მიხედვით, უნდა დაეფარათ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასური. მათ შორის არიან ისეთი ორგანიზაციები, როგორები-

ცაა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ოუსტიციის სამინისტროს სასჯელთა აღსრულების №5 სააყრბილი, უზენაესი სასამართლო და სხვ.

შეგახსენება, რომ შპაბის “იბერას” შეიღობება მხარეშ ვალის მორთაფი დაგვიანების გამო შეუწყვიტა. ქართულმა მხარეშ ვალის მორთაფი ნაწილის დაფარვა შეძლო. შეთანხმებისამერ, “საქაქას” ანგარიშშე მილიონ 700 ათასი ლარი 15 ნოემბერს ჩაირიცხა. გაზის გამორთვის მიზეზი კი დარჩენილი 250 ათასი ლარი გახდა, რომელიც ცენტრალური ბოუჯეტთან უნდა დაფაროს. ორის დღლის განმავლად უნდა ფინანსთა მინისტრის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს თანხა გადაიხადოს. ამავე დროს, გოგიაშვილმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ვალის დასაფარავად გათვალთ 250 ათასი ლარი “თბილგაზისათვის” განეული ბოლო დახმარება იქნება.

რიისთვის გვჭირდება კრიტიკული აზროვნება და ცხარე დებატები?

საქართველოს საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამჟამად განიცდის კამათისა და დებატების კულტურის დეფიციტს. ეს პრობლემა აწუხებს არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, არამედ კლასიკურ ინგლისს, პრაგმატულ გერმანიასა და ულტრათანამედროვე ამერიკასაც კი. ჯორჯ სოროსმა დააარსა თავისი მასშავლებლის, პოსტ-პოზიტივისტური ფილოსოფიური სისტემის ფუძემდებლის, კრიტიკული რაციონალიზმის წარმომადგენლის “კარლ პოპერის სახელობის დებატების პროგრამა”, რომელიც მსოფლიოს ორმოცამდე ქვეყანაში ხორციელდება. პროგრამის მიზანია საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნების, კამათის, დებატების კულტურის, მოსმენისა და თვითგამოხატვის უნარის “დროულად”, ბავშვობის ასაკში, თამაშისა და შეჯიბრების ფორმით დამკვიდრება.

ირინა სანაბლიძე

უკვე ოთხი წელიწადია, რაც ფონ-დი “ლია საზოგადოება – საქართველო” მოსწავლეებსა და სტუდენტებს კრიტიკულ, ლოგიკურ აზროვნებასა და კამათის, დებატების კულტურას ასწავლის.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს აქტიური და სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მოზარდ თაობაში ინტელექტის, თავისუფალი აზროვნების განვითარებას. მოზარდმა თავისუფლად და არგუმენტირებულად უნდა შეძლოს საკუთარი აზრის, იდეების ჩამოყალიბება, ასევე უნდა განუვითარდეს სხვისი მოსაზრების მოსმენისა და პატივისცემის უნარი. დებატების საბოლოო მიზანია ისეთი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც აქტიური მოწინაიღობის მიიღებს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე მოვლენებში.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა მიიართავს ფორმალურ დებატებს, რაც ციფილური კამათის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმაა, რომე-

დაზარალებულები დაზარალებულისადაც არ უფრთხიან

ახლახან ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობამ დიდიუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიმართა და მიუცნო ვრის შემდეგ ძალით დამეზობლებული დაზარალებულების წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. ცენტრის ხელმძღვანელი, გიორგი ხერხიაშვილი, სასამართლოს სთხოვს, ეს ხალხი ცენტრის ეზოში მდებარე კორპუსებიდან გაიყვანოს. მოსახლეობას კი ტუბერკულოზით დაავადების საფრთხეც არ ამინებს და წასვლაზე კატეგორიულ უარს აცხადებს, - სადაც აქამდე ვიყავით, ამაზე უარსეიათ, ამბობენ.

ნანა ქადაგიშვილი

დაზარალებულებს ტუბერკულოზის ცენტრში ორი კორპუსი უკავით. ერთი მათგანი ცენტრმა ქიზნების მართვის სამინისტროს დაუბრუნა, რადგან იგი ისეთი ავარიულია, რომ ვეღარ გაამართებდა. მეორე შენობა კი, ყოფილი ამბულატორიული განყოფილება, კვლავ ცენტრს ეკუთვნის და მსოფლიო ბანკის პროექტი მის გარემონტებას ითვალისწინებს. მოსახლეობა (ძირითადად, დევნილები), ამ კორპუსებში მინისტრის შემდეგ ძალით შეიჭრა და ცენტრის ხელმძღვანელობამ მათი გაყვანა დღემდე ვერ მოახერხა. “ვის არ მივმართეთ, - მერიას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, პოლიციას, მასვედის, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. არადა, დღე-ღღეუ მსოფლიო ბანკის ექსპერტს უნდა ჩამოვიყვს. მაგრამ იმეცხება ცენტრის შენობების რეაბილტაცია, ეს კორპუსები კი ვერ გავათავისუფოთ. ამიტომაც სასამართლოს მივმართეთ, მტკი გზა აღარ დავგრივ. ესეც არ იყოს, ამ ხალხს სიცოცხლე საფრთხეშია. ვაფრთხილებთ, ვურჩევთ, მაგრამ არ გავიჯერებენ. აბრილიდან აქ ვართ და ჯერ აეად არ გავმზადვართო. ვერ გავგავებინეთ, რომ ტუბერკულოზი გრიში არ არის, რამდენიმე დღეში გადავფოთ. ამ დაავადებამ, შეიძლება, 6-9 თვეში, ან 2-3 წელიწადში იჩინოს თავი”, - ამბობს ხერხიაშვილი. ცენტრის შენობებში ჩასახლებული

მოკლედ

თბილისი. ოქტომბერში მოხმარებული ბუნებრივი აირისთვის გადასახდელი 1,8 მილიონ ლარადან „საქეაზს“ მისაღები აქვს 483 ათასი ლარი. „საქეაზს“- ადმინისტრაციის ინფორმაციით, თბილისს გაზის მიწოდება მხოლოდ კომპანიის ანგარიშზე ამ თანხის მიღების შემთხვევაში აღუდგება. გუშინ საერთაშორისო კორპორაციის რეზერვებიდან ბუნებრივი აირის მიწოდება აღუდგა თამაზნდის, კრწანისის, საბურთალოს, ავას რაიონის ზოგიერთ უბანს. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროს, როგორც “თბილისაში” აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა „იტერსთან“ მოლაპარაკებს და თანხაც საქვანს ანგარიშზე ჩაირიცხება, გაზი რუსეთიდან უახლოეს ორ დღეში წამოვა, თუმცა, თბილისის სრულად დატვირთვის, სულ ცოტა, ორი კვირა დასჭირდება. შეგასწავნებთ, რომ, „იტერსთან“ მოსალაპარაკებლად, დღეს, დღითი, მოსკოვს გაემგზავრენ სათბომ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა და გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალექო გოციჩიძე. **მედი-ნოუსი.**

თბილისი. მიწისძვრისგან დაზარალებული თბილისის სკოლებს მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი 5-მილიონიან პროგრამის ფარგლებში აღადგენენ. ამის შესახებ დღეს გამართულ თაბაძრზე თბილისის მერმა ვანო ზიდულავამ განაცხადა. 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის გამო დაზიანდა 209 საშუალო სკოლა. ამავე პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს ხალხის აღდგენაც. საბანაო საშაპაროს უფროსმა ნიკო კახეთელიძემ განაცხადა, რომ მიწისძვრისგან დაზიანებული შენობების აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს ვარკეთილსა და დედაქალაქის სხვა უბნებში. **კავკას-პრესი.**

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტიც აბრით, მუხუმე-ნაკრძალის ტერიტორიაზე მიუღებლია ყოველგვარი ახალი მშენებლობა, თუ ის უნიკალური არქიტექტურული ანსამბლის იერსახეს დაამახინჯებს. “შეიკრის, ზუღდიძე, დადიანების სასახლის ეზოს გარდა, რატიმ ვერ მოიძებნა სხვა ადგილი ახალი მშენებლობისთვის. ამიტომ ამ საკითხით უშუალოდ დავინტერესდები”, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედიუარდ შევარდიაძემ დღეს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ტრადიციულ პრიიზინგზე, როცა ზუღდიძის, სამეგრელოს მთავრობის რეზიდენციის ტერიტორიაზე მიმდინარე გასართობი ობიექტის მშენებლობის საკითხს შეხუ. შეგასწავნებთ, რომ ეს მშენებლობა რამდენიმე თვის წინ მას “ოლკოშიანის” თაოსნობით წამოიწვეს. მის წინააღმდეგ გამოიწი კულტურის სამინისტრო და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. გარდა ამისა, უკანონო მშენებლობის საკითხს ცალკე განიხილავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. **კავკას-პრესი.**

თბილისი. მსოფლიოს 121 ქვეყანაში არსებულ „მაკდონალდსის“ 29,000 რესტორანში 20 ნოემბერს გაიმართება აქცია „ბავშვთა საერთაშორისო დღე მაკდონალდსში“. აქციაში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას. ამ დღეს თბილისის „მაკდონალდსის“ რესტორანში ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი თბილისის მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრში აღერიკი საავადმყოფოს გადაღობვებში დახმარების განცხადებას 2 კვირის განმავლობაში გაუყოფლი „მიგმაკიდან“ შემოსული თანხის კეთილთა გადასაცემს. როგორც მაკდონალდსის რესტორნის მენეჯერმა მაცა ნოსელიძემ განაცხადა, ყოველი წლის 20 ნოემბერს „მაკდონალდსი“ შვავს აქციას გაართმავს და ბავშვთა სხვადასხვა ორგანიზაციას დაეხმარება. რესტორანში დაგეგმილ აქციაში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები ზუმბა და ნიაზ ღი-ასამიძე, ისინი რესტორანში მომსახურე პერსონალის როლს შეასრულებენ და იქ მისულ პატარებს მეფე-მელოთ გაუმსახინებლდებიან. **მედი-ნოუსი.**

პროგრამის“ თანახმად, თითქმის ერთი თვის განმავლობაში, მოსხენების ფორმისა და თვითგამოხატვის დახვევნის მიზნით, დებატების წარმართვის ეთიკის სემინარები ჩატუარდათ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში “კარლ პოპერის სახელობის დებატების მერვე ეროვნულ ტურნირზე ორგანიზატორებმა წინასწარ შერჩეული თემატიკა საჯაროდ გამოაცხადეს. ორ-ორი სტუდენტით დაკომპლექტებულმა ორმოცამდე გუნდმა გამართა დებატები - არის თუ არა ფემინიზმი მანვე იდეოლოგია, მოქმედებს თუ არა უარყოფითად აშშ-ს პეგემონია მსოფლიო სტაბილურობაზე; ასევე იკამათეს მათ მიერ სურვილისამებრ ინტერპრეტირებულ თემებზე - “ამოვარდნილი ქარი ყველა გემს ვერ ამოძრავებს”, “ახლოსა თუ არა დასასრული” და რომ “ყოველ ჩამოვარდნილ წვიმის წვეთზე ყვევილი იზრდება”. ხუთი წუთის ინტერვალთი, ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ, პირობითად, მთავრობისა და ოპოზიციის ჯგუფებად დაყოფილი სტუდენტები.

ოთხრაუნდიანი ცხარე კამათის შემდეგ “კარლ პოპერის სახ. დებატების პროგრამის” მწვრთნელ-მსაჯეების ოთხკაციანმა ჯგუფმა გამოავლინა ტურნირის “ყველაზე დამაჯერებელი, ლოგიკურად მოაზროვნე და დებატების ეთიკის მქონე დახვეწილი” ფინალისტები - “მთავრობისა” და “ოპოზიციის” ორ-ორი გუნდი. მათ, ჩემპიონთა ტიტულის, სპეციალური დიპლომებისა და პრიზების საშუაგებისთვის, ცხარე დებატებისა და მოხსენებების წარმოდგენა მოუხ-

მოქავეშირის ლაბქრობა განათლების სამინისტროში

გუშინ განათლების სამინისტრომ სახელმწიფო მინისტრის, აეთანდილ ჯორენძას ეს და მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებს უმასპინძლა. სამინისტროს მოწოდებას, რომ ნებისმიერ მსურველ საზოგადოებას შეუძლია, გაეცნოს “განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს”, პირველი მოქალაქეთა კავშირი გამოეხმურა.

დალი ქაჰრაჰა

შეხვედრა ორნაწილიანი იყო. პირველი განყოფილება ძალიან ჰგავდა ტრადიციულ გაკეთილს, როცა მასწავლებელი ხსნის და მოსწავლეები უსმენენ. დამსწრე საზოგადოებაც კლასიკური სქემით მოქმედებდა: პირველ მერხებზე მსდარი სახელმწიფო მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრლიძე, პოეტო რეზო ამაშუკელი, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი, პარლამენტარი მანანა გიგინეიშვილი და სხვები ყურადღებით ისმენდნენ. ბოლო მერხებზე კი, ტრადიციულად, ისხდნენ ის მოსწავლეები, რომლებიც სიის ამოკითხვის შემდეგ სასწავლო პროცესს ეთიშებიან.

განათლების მინისტრმა საზოგადოებას უამბო რეფორმის სტრატეგიასა და უკვე განხორციელებულ



საიტქმელის ლაკონიურად გამოხატვა

დათ. მით უმეტეს, რომ ორგანიზატორთა მიერ წარმოდგენილმა თემამ ამას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. “მთავრობამ” თავი არ შეიზღუდა, თავისებური ინტერპრეტაცია მიანიჭა თემას - “დაე, იყოს...”, და თამაში “დაე, იყოს საქართველოში სიტყვის თავისუფლება” განსახილველად წარმოსადგინა. “ოპოზიციის” რეაქ-

ციამ და ჩვეულმა სიმძაფრემაც არ დააყოვნა და დებატები, ლამის, საქართველოს პარლამენტის დებატებს დაემსგავსა.

სიტყვის თავისუფლებაზე კამათისას, “მთავრობამ” ჟურნალისტების ქომაგ “ოპოზიციას” დააცვედრა, - გვლანძღავთ, გვაგინებთ და მეტი რაღა თავისუფლება გინდათო?!



აეთანდილ ჭორენძაძე და ალექო კარჭოზია

სამუშაოებზე. მან ისაუბრა ყველა კომპონენტზე და რეფორმის ერთ-ერთი სეგმენტის (კომპიუტერზაცია-ინტერნეტზაცია) “მონაპოვრის” დახმარებით, ეკრანზე თვალსაჩინოდ აისახებოდა მისი ნაამბობი.

განათლების მინისტრის გამოსვ-

ლის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა მოკლედ ისაუბრა განათლების მნიშვნელობასა და კონკრეტულად აღნიშნული რეფორმის ხარისხიანობაზე. “განათლების გარეშე საქართველოს მომავალი არ უწერია და არც მისი სიღარიბიდან გამოყვანა შეიძლება”.

ტაო-კლარჭათი უნივერსიტატის კედლებში

ოქტომბრის ბოლო კვირას ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელთა შემადგენლობით, ტურისტული წიზნით, ტაო-კლარჯეთში იმყოფებოდა. ჯგუფის ხელმძღვანელი იყო აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი მიხეილ სვანიძე, ხოლო მოგზაურობის ორგანიზატორი - თურქოლოგი, პროფესორი მარიკა ჯიქია. ექსპედიციის ახალგაზრდა წევრმა, სტუდენტმა დავით ჩხიძემ, მოგზაურობის მონაწილეთა დამზარებით, მოაზუნა თავის მიერ გადაღებული ტაო-კლარჯეთის ძეგლების ფოტოგამოფენა, რომელიც გუშინ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიხსნა.

ლალა მარბიანი

შეკრებილ საზოგადოებას მარიკა ჯიქიამ აუწყა, რომ მსგავსი ექსპედიციის მონაწილა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გახსნა შესაძლებელი. მან დიდი მადლობა გადაუხადა თურქეთის საელჩოს მოგზაურობისთვის საჭირო ფორმალუბების ოპერატიულად გადაწყვეტისა და ექსპედიციის ხელშეწყობისთვის. აღნიშნა, რომ ექსპედიციისთვის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებდა ალექსანდრე გუგუ-



სტუმრები ექსპონატებს ევენობიან

ნავას წიგნი “მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში”.

ქართველ მეცნიერთა ექსპედიციაში ერთი კვირის განმავლობაში მონაწეულა 12 ეკლესია და 6 ციხე. ფოტოსტენდებიდან გვიმზერდნენ ქართული ძეგლები: მერვე საუკუნის ხანძათა (თურქ. ფორტა), მეათე საუკუნის დოლისყანა (თურქ. კამაღლი), მეათე საუკუნის ოთხთა ეკლესია (თურქ. დორთქილიუ), მამანმინდა, იშხანი, ბანა, ოპისა და ხახულის ტაძრები, ოლითისისა და მავეთის ციხეები.

ექსპედიციის წევრები აღფრთო-

ვანებას ვერ მალავდნენ ნანახისა და განცდლის გამო. ის არცაა გასაკვირი, რადგან ისინი იყვნენ იმ ადგილებში, სადაც ჩვენი დიდი წინაპრები: ამოტ და დავით კურაპალატები, თორნიკე ერისთავი, გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდნენ.

მეცნიერებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართული ძეგლების ბრწყინვალეობამ, ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმების მრავალფეროვნეზე, მამანმინდა, იშხანი, ბანა, ოპისა და ხახულის ტაძრები, თავზე “შემოსკუპებული” ქართულმა ციხეებმა, ვინრო, კლდოვანკალა-

მსაჯებმა “მთავრობის” მოხსენება უფრო დამაჯერებლად და არგუმენტირებულად მიიჩნიეს და “კარლ პოპერის სახ. დებატების პროგრამის” მერვე ეროვნული ტურნირის პირველი ადგილი მიანიჭეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტის ორ სტუდენტს. “გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება მივაქციეთ მხოლოდ მომხსენებლის დამაჯერებლობას, კამათისას გავმოველეთ უნარ-ჩვევებს, გამოხატვის ფორმებსა და შესტებს, ზოგად ეთიკას”, - გვითხრა ერთ-ერთმა მსაჯმა.

“სტუდენტებს ვაცყობთ, რომ ძალიან მოსწონთ დებატების პროცესი, კამათი, შეჯიბრება. დებატები შემეცნების პროცესს უფრო ხალისიანს და უშუალოს ხდის”, - გვითხრა პროგრამის კოორდინატორმა ნანა ფიგიაშ.

ამ ტურნირებში მონაწილეობენ სახელმწიფო და კერძო სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც, სპეციალობათა გათვალისწინებით, თთქოს, არაფერში სჭირდებათ კამათის, დებატების პრაქტიკა. როგორც გავიგეთ, პოლიტიკოსობას, პარლამენტარობას მაიგან პრავინ აპირებს. მომავალი იურისტების, ექიმებისა და მათემატიკოსების თქმით, ტურნირში მონაწილეობის ერთადერთი მიზანია ოპოლკური და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და საიტქმელის ლაკონიურად გამოხატვის პრაქტიკა.

სასაბართლო დარბაზი

მაისი ბატაცხების ორბანიზატორი თავისსავე დაბეხულ მახეში გაეზა

ხათუნა ჰანბირაშვილი

ერთი წლის წინ უგზოუკვლოდ და-კარგული, პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორის ყოფილი მოადგილის, შემდეგ კი საავთიაქო ბიზნესის მფლობელის - როსტევეან ბუჟანიშვილის განზრახ მკვლელობისთვის მის საკუთარ შვილს პაატა ბუჟანიშვილს ასამართლებენ. მძევლად ხელში ჩაგდების, გატაცების, ფულის გამოძალვის, განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებებით, პაატა ბუჟანიშვილთან ერთად, მის ორ მეგობარს - ვასილ მჭედლიშვილსა და მამუკა ესაძესაც ასამართლებენ.

წინასწარი გამოძიება რომ ერთი ამოსუნთქვით არის ჩატარებული და საქმეში არსებული საიდუმლოებით მოცული უამრავი დეტალოის გარკვევა სასამართლო გამოძიებას მოუწევს, ეს სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე ამკარა გახდა.

საქმე ისაა, რომ როსტევეან ბუჟანიშვილის ცხედრის ადგილ-სამყოფელში სამართალდამცველებისთვისაც და დაზარალებულად ცნობილი მისი დისთვის - ასმატ ბუჟანიშვილისთვისაც დღემდე უცნობია.

“ჩვენ, ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ სასამართლო გამოძიებისთვის ჩვენების მიცემისგან”, – ასეთი იყო გუშინ განსასჯელების განცხადება, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ დაზარალებულის – როსტევეან ბუჟანიშვილის დის ჩვენებას, რომელმაც, განსასჯელების მსავსადა, ჩვენების მიცემაზე გუშინ უარი განაცხადა და მოსამართლეს მოსამზადებლად გარკვეული ვადა მოსთხოვა. **“მე ჩემი ძმის საფლავს ვეძებ, მიიხრან, სად გადამალეს მისი ცხედარი. დანარჩენი ყველაფერი ციცი და ყველაფერს მმოდევრო სასამართლო სხდომებზე დავამტკიცებ”**, – ასეთი იყო ასმატ ბუჟანიშვილის ემოციური განაცხადი.

გუშინდელი პროცესის დასაწყისშივე, პაატა ბუჟანიშვილის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლო კოლეგიას იმის თაობაზე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები სასამართლო გამოძიებას უწყეყო-არ მტკიცებულებად არ მიიღოს. **“ჩვენებები მოპოვებულია ძალადობითა და ზეწოლით, ამიტომ ისინი მტკიცებულებად არ გამოდგება”**, – განაცხადა ძამაის გატაცების, მისი მძევლად აყვანისა და განზრახ მკვლელობის ორგანიზატორობაში ბრალდებული პაატა ბუჟანიშვილის ადვოკატმა და ისიც დაამატა, რომ წინასწარი გამოძიებისას დანარჩენი ორი ბრალდებულის მიმართაც ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზე-



პაატა ბუჟანიშვილი

წოლას. ადვოკატის ამ განცხადებას კატეგორიულად შეენინააღმდეგა როგორც პროკურორი, ასევე დაზარალებულის ადვოკატიც. მოსამართლემ კი ნახევარსაათიანი ფირის შემდეგ განსასჯელის დამცველის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

პროცესზე გამოაქვეყნეს სამივე განსასჯელის საერთო საბრალდებო დასკვნა, რომლის მიხედვითაც პაატა ბუჟაშვილმა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში საკუთარ მამასთან საკმაოდ გართულებული ურთიერთობა ჰქონდა, ვასილ მჭედლიშვილს მისი გატაცება და მოკლა შესთავაზა, საკმაოდ სოლიდური თანხის - 10 ათასი დოლარის სანაცვლოდ. მჭედლიშვილმა მამის მოკლის მსურველი მამუკა ესაძესა და გიორგი აბაშიძეს შეახვედრა (აბაშიძე დღემდე ძებნილად არის გამოცხადებული), რომლებმაც შეკვეთის შესრულებაზე პაატა ბუჟანიშვილს თანხმობა განუცხადეს და გატაცების გეგმაც შედგა. როსტევეან ბუჟანიშვილი გლდანის დასახლებასთან ახლოს

მდებარე მამუკადს ტყეში გაიტაცეს. თუმცა, ერთობლივად დადგმული სცენარი სულ მალე შეიცვალა. გამტაცებელთა ჯგუფის წევრებმა პაატა ბუჟანიშვილის დამნაშაუბა გადაწყვიტეს და აუდიოკასეტით დაემუქრნენ, რომელზეც შეილი ძამაის გატაცების გეგმაზე საუბრობდა. გამტაცებლებმა გატაცებულის შვილს სატელეფონო საუბრით აუხსნეს, რომ თუ დიდ თანხას არ გადაიხდიდა, მამამისი მოახინებდნენ აუდიოკასეტსა. გატაცების დღესვე პაატა ბუჟანიშვილი გამტაცებლებმა მამუკადს ტყეში წაიყვანეს და მამამისი აჩვენეს. შემკვეთს გამტაცებლებმა მამის მოკვლისთვის ამჯერად 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს. მათ იმავე დღეს დარეკეს როსტევეან ბუჟანიშვილის სახლში და მძევლის დასაც 100 ათასი დოლარი მოსთხოვეს ძმის გათავისუფლებაში. საბრალდებო შესრულებაზე პაატა ბუჟანიშვილს და მისი პაატა ბუჟანიშვილმა მამამისის ბიწის სარდაფის კარი გატყეს, სადაც 80 ათასი დოლარი აღმოჩნდა და გამტაცებლებს

გადასცა. ფულის გადაცემის მოუხედავად, მძევლის დისგან და შვილისგან ბოროტმოქმედები კიდევ 20 ათასს ითხოვდნენ. ეს თანხა დაქირავებული მეგობრებისთვის პაატა ბუჟანიშვილს არ გადაუხდია. ამის შემდეგ, მამკოდას ტყეში გატაცებული როსტევეან ბუჟანიშვილი აღარავის უნახავს. გატაცებიდან რამდენიმე დღეში, სასამართლდამცველებმა მუხსიანის დასახლებაში უპატრონო მანქანას მიაგნეს, რომელიც მოგვიანებით როსტევეან ბუჟანიშვილის აღმოჩნდა. მის ოჯახში მისულ პოლიციელებს პაატა ბუჟანიშვილმა განუცხადა, რომ მამამისი გატაცებული ვასილ და მის გამოსასყიდად დიდ თანხას ითხოვდნენ. განცხადების დაწერაზე მან უარი იმ მოტივით განაცხადა, რომ მძევლის სიცოცხლეს საფრთხე დამუქრებოდა, პროკურატორმა მოწმედ დასაკითხად მისულმა კი გამტაცებლებთან საკუთარი კავშირი გათქვა. ამის შემდეგ ის უკან აღარც გამოუშვიათ. ამ ყველაფერს აღიარებითი ჩვენებები მოჰყვა და ცოტა ხანში მისი მეგობრებიც დაააკვეს. მამკოდას ტყეში სასწრაფო ძებნა გამოცხადდა. როსტევეან ბუჟანიშვილის ცხედრის ძებნისას ტყე თითქმის მთლიანად გადაითხარა, მაგრამ იქ თოკებისა და სკოტერების გარდა, სამართალდამცველებმა ვერაფერს მიაგნეს.

ერთი სიტყვით, რა იცის დაზარალებულად ცნობილმა დაკარგულმა დამ – ასმატ ბუჟანიშვილმა, შემდეგ პროცესზე გაირკვევა, როცა ის სასამართლო გამოძიებას მისცემს ჩვენებას. ჩვენთან საუბარში კი მან მკვლელად საკუთარი ძმისშვილი გამოაცხადა და მის სხვა, გაუხმარებელ დანაშაულებებზეც ღალაპარაკდა:

“უნდოდა, მამამისი კონება და პატრონებოდა. პაატა გარეწარიო, რომელსაც ყველაფრის კადრება შეუძლია. დარწმუნებული ვარ, თვითმან მაგას მოაკვლევინეს ჩემი ძმა. მიუხედავად იმისა, რომ უნდაო, დამამიწინე, მე მაინც ყველაფრს ვიტყვი და დავამტკიცებ კიდევ”, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ასმატ ბუჟანიშვილმა, რომელიც უკან დახევასა და ძმისშვილის დანდობას არ აპირებს.

სასამართლო გამოძიებას ბევრი რამის დეტალურად გარკვევა მოუწევს. რას იტყვიან განსასჯელები - ისევე, როგორც წინასწარი გამოძიებისა, ახლაც ურთიერთგამომცინებაზე ჩვენებებს მისი გაფორმება არ ელოდებიან. მამამისი პაატა ბუჟანიშვილმა მამამისის ბიწის სარდაფის კარი გატყეს, სადაც 80 ათასი დოლარი აღმოჩნდა და გამტაცებლებს

ბარდაცვალების მიზეზის დადგენამდე პოლიცია მკვლელი იკოვა

თამარ კასიძეაძე

ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, თამაზ ყულაშვილი გუშინ ბაგების სტუდენტაქის მეექვსე საორთილიდან გადახტა, გადავიდა თუ გადაადგეს. ფაქტი ერთია (რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტზამაც დაადგინა) - 20 წლის ინგალი სიმამლიდან ვარდნის შემდეგად გარდაიცვალა. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკუროტურის გამოძიებლის, ზვიად უზნაძის განცხადებით, გარდაცვლილს ზურგზე პატარა ჭრილობა აღენიშნება, რომელიც არ შეიძლება, სოკედილის მიზეზი გამხდარიყო. მაგრამ, რა დროს მიიღო ყულაშვილმა აღნიშნული ჭრილობა, გამოძიებლის თქმით, უცნობია. გამოძიებლის ინფორმაციითვე, უკვე დაკითხულები არიან ყულაშვილის მეგობრები, რომლებიც აღნიშნავენ: “სტუდენტაქში მეგობართან ვქვიფობდი, მოულოდნელად ყულაშვილი შემოვიდა და თქვა, ჩხუბი მომივიდაო, ცოტა ხანში კი აივანზე გავიდა და აღარ შემოვიდა. აღელვებული ყულაშვილი მეექვსე საორთილიდან თავისი ნებით გადახტა თუ შემთხვევით გადავარდა, ამის თქმა მეგობრებს არ შეუძლიათ. ჯერჯერობით, არც გამოძიებას შეუძლია იმის დამტკიცება, ვინმემ ხომ არ აიძულა ყულაშვილი აივნიდან გადამხტარიყო, ანუ საქმე ხომ არ გავქვს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტთან,” - აღნიშნა ჩვენი ორი ბრალდებული უზნაძემ.

ერთი სიტყვით, გამოძიება მუშაობს, თუმცა ყულაშვილის გარდაცვალების ფაქტს სამართლებრივ მუდგასება, ჯერჯერობით, არ მისცემია. სამაგიეროდ, გუშინვე ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე ზულონობის ფაქტზე აღიძრა, რაც, შესაძლებელია, არაპირდაპირ უკავშირდებოდეს ყულაშვილის გარდაცვალების ფაქტს.

სხვათა შორის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ყულაშვილის გარდაცვალების ოფიციალურად გაუხმაურებული ფაქტი, “24 საათისთვის” სწორედ აღნიშნული ზულონობის ფაქტით გახდა ცნობილი.

შპს-ის წინააღმდეგ

ფოფილი, დაახლოებით 10 საათზე მე, ჩემი ძმა გიორგი და მანუჩარ წულაია სახლში წავედიო. მეოთხე სართულზე რომ წავედიო, უცნობი ბიჭი შეგვხვდა და ჩხუბი დაგვიყენა. რა უნდოდა, ბოლომდე ვერც მივხვდიო. მე ამ კორპუსში მავურებელი ვარ და დღა შემავინა. გაგზარდიო და მუშტი გავაგრევიო. ქვევით რომ წავედიო, იმ ბიჭმა ათამდე მეგობარი დაგვახვედრა და ცემა დაგვიწყეს. სახლში გავიქეცი და დასაშვრებლად მეორე ძმას, ირაკლის დავუძახე. ჩხუბის ადგილზე რომ მივედიო, დავინახე, გიორგი ძირს ევდო და ნიხლბაც ურტყამდნენ. ცოტა ხანში მეზობლებიც გამოვიდნენ და გავაგაშველეს. სახლში რომ მივედიო, ჩხუბის ხმა შემოგვესმა. ფანჯრიდან დავინახე, ისევ ის ბიჭები იყვნენ, ჩვენ რომ ვეგზუხუნენ. მე და ირაკლი საქმის გასარჩევად წავედიო, მაგრამ ისევ გავგაშველეს. ამის შემდეგ დაიძინეო. პოლიცია შეუღამისას მოვიდა და სამივე ძმა წაგვიყვანეს. აქ ვნახეთ ჩვენი მეგობრებიც მანუჩარ წულაია და თემურ ოთხიზორიაც. პოლიციაში გავიგეთ - ის ბიჭი, ჩვენი რომ ვეგზუხუდა, ღამით მომკვდარა. ზოგი ვეგუზუნება, იარაღით მოკლესო, ზოგი ამბობს, დანითო და ზოგ-მაც თქვა, მეექვსე საორთილიდან დახტაო. ვერაფერი გავიგეთ. ჩვენი ვეგუზუნებიან, დანერეთ, დანა რომელს კქონდათო. მეერ მიიხრება, შენ მოკალი ის ბიჭი და დანერეთ,” – უთხრა უფლებების დასაცავად მისულ ზურაბ ქართველიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები დილიდან თხოულობდნენ დაკავებულებთან შეხვედრას, პოლიციელებმა პირველი ჩვენების ჩამორთმევა მაინც კანონის დარღვევით, მარტო ჩაიჩიეს. ბიჭებმა ადვოკატებს უთხრეს ისიც, რომ პოლიციელებმა დაკავების ოქმებზე ხელი შეუხვედრამდ რამდენიმე წუთით ადრე მოაჩერინეს, რაც ასევე კანონის დარღვევაა. არადა, ოქმში დაფიქსირებულია დაკავების წამები, თუნდაც კანონის უზენი დარღვევით, მკვლელობა დადგინდა.

